დამტკიცებულია

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის
2024 წლის ბრძანებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ვეტერინარია

მარნეული
2024 წელი

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** ვეტერინარია / Veterinary

2. **სარეგისტრაციო ნომერი** - 09111-პ

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში/ Higher Vocational Qualification in Veterinary

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ვეტერინარია“, კოდი 0841, აღმწერი - *„შეისწავლის ცხოველების დაზიანებებისა და დაავადებების პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ასევე მათ ზოგად მოვლას. მოიცავს ვეტერინარულ კლინიკაში ავადმყოფი, დაშავებული და დაუძლურებული ცხოველების მკურნალობას. ასევე მოიცავს ვეტერინარის ასისტენტის პროგრამასაც.“.*

4. **მიზანი**

ჩარჩო დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ვეტერინარი ტექნიკოსის მომზადება, რომელიც, უფლებამოსილების ფარგლებში, შეძლებს ცხოველთა მკურნალობას, მათ დაავადებებსა და დაზიანებებზე რეაგირებას, საზოგადოებისა და პიროვნებებისთვის რჩევების მიცემას, ოპერაციის შემდგომ ცხოველთა მდგომარეობის მონიტორინგს, ამბულატორიულ მკურნალობას, ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით ტექნიკური დავალებების შესრულებას, ვეტერინარისთვის ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დიაგნოსტირებისას რადიოგრაფების, ნიმუშებისა და სხვა ლაბორატორიული ტესტების შეგროვებაში დახმარებას, ვეტერინარი ქირურგის ასისტირებას, დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ პროცესებში მონაწილეობას და სხვ.

5. **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ვეტერინარიაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვეტერინარულ კლინიკაში, ფერმერულ მეურნეობაში, ვეტერინარულ აფთიაქში, ზოოპარკში, ზოომაღაზიაში, ცხოველთა თავშესაფარში, ვეტერინარულ ლაბორატორიაში, საკონსულტაციო ცენტრებში, ვივარიუმში, ცხოველთა სასაკლაოზე, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში, ვეტერინარული პრეპარატების, ხელოვნური დათესვლის საწარმოებში, ცხოველური ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში. ასევე შესაძლოა იყოს თვითადასაქმებული.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 75.00.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3240

7. **სტრუქტურა და მოდულები**

ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს 5 ზოგად მოდულს, ჯამური 16 კრედიტის მოცულობით; 18 პროფესიულ მოდულს, ჯამური 64 კრედიტის მოცულობით და 8 კლინიკური სწავლების მოდულს ჯამური 40 კრედიტის მოცულობით.

ვეტერინარიაში კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 120 კრედიტის დაგროვება.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	უცხოური ენა (ინგლისური)	5
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 3	3
4.	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
5.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	სულ	16
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - ვეტერინარია	2
2.	ქიმია	4
3.	ბიოლოგია	4
4.	ტოქსიკოლოგია	3
5.	მიკრობიოლოგია 1	4
6.	ჰისტოლოგია 1	3
7.	პათოლოგია	4
8.	ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები	6
9.	ბიოქიმიის საფუძვლები	3
10.	ცხოველთა დაავადებები	7
11	სურსათის უვნებლობა	2
12.	ინფექციის კონტროლის საფუძვლები 1	3
13.	ცხოველთა კვება	3
14.	დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში	4
15.	ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია	5
16.	ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა	2
17.	პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება	3
18.	ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია	2
	სულ	64
კლინიკური სწავლების მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ცხოველთა მკურნალობა	4
2.	ვეტერინარი ქირურგის ასისტირება	6

3.	ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა	5
4.	ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდავ ღონისძიებებში მონაწილეობა	5
5.	ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი	6
6.	ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა	6
7.	ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია	4
8.	შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა	4
სულ		**40**

8. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უმკურნალოს ცხოველებს ვეტერინარის დანიშნულების მიხედვით
2. კომპეტენციის ფარგლებში გასცეს რეკომენდაციები/რჩევები ცხოველთა დაავადებებსა და დაზიანებებზე
3. უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება ცხოველის, მათ შორის შინაური ცხოველის მსუბუქი დაზიანებისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს
4. განახორციელოს ვეტერინარი ქირურგის ასისტირება
5. ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით, შეასრულოს ტექნიკური დავალებები
6. აიღოს ლაბორატორიული სინჯები, მოაგროვოს და ჩაატაროს ექსპრესტესტები
7. ვეტერინარს გაუწიოს ასისტირება ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დადგენისას და რუტინულ სტომატოლოგიურ პროცედურებში
8. განახორციელოს ცხოველთა საკვებისა და კვების პროცესის მონიტორინგი
9. აღრიცხოს და ჩამოწეროს მედიკამენტები, ქიმიკატები და სხვა ფარმაცევტული მასალები
10. მიიღოს მონაწილეობა ცხოველთა ზოგად პროფილაქტიკურ, საკარანტინე-შემზღუდველ, გეგმიურ და იძულებით ეპიზოოტიის საწინააღმდეგო (ვაქცინაცია, დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია, დეგაზაცია, დეზოდორაცია, დეზაკარიზაცია) ღონისძიებებში
11. განახორციელოს ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი
12. ვეტერინარის ზედამხედველობით განახორციელოს ცხოველთა დაკვლის შემდგომი შემოწმება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს ერთ საგანმანათლებლო პროგრამას (120 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება უზრუნველყოფილ უნდა იქნას შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენის კომპეტენციის შეფასების მიდგომებს.

შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა, კლინიკური სწავლების მოდულების გარდა, შესაძლებელია ითვალისწინებდეს დამატებით სხვა მოდულების საწარმოო პირობებში სწავლებასაც.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭიროა 120 კრედიტის დაგროვება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული პირობით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები*[*]

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

[*] ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში გაწერილ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების ასახვის შემთხვევაში სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას აქტის/აქტების განახლებული ვერსია, მიუხედავად ამავე ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში არსებული ჩანაწერებისა. აგრეთვე, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისთვის ჩარჩო დოკუმენტსა და მოდულებში, გაწერილი სამართლებრივი აქტების გარდა, შესაძლებელია, დამატებით გამოყენებულ იქნას სხვა აქტები, მათ შორის - საერთაშორისო შეთანხმებები და რეგულაციები.

დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები[†]:

- საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“.

დარგის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტები:

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N577 დადგენილება „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მიკვლევადობის ზოგადი პრინციპების და მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N325 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გადაზიდვისას გამოსაყენებელი ვეტერინარული მოწმობების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N327 დადგენილება „საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის და სახელმწიფო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის№55 დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილება - ტექნიკური რეგლამენტის - „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №547 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი – „სურსათში მიკროელემენტებისა და დამაბინძურებლების (კონტამინანტები) რაოდენობის კონტროლისათვის ნიმუშის აღებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის№2-107 ბრძანება „ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის“ დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №436 დადგენილება ტექნიკურირეგლამენტის - „ვეტერინარული პრეპარატების წარმოების, შენახვის, გადაზიდვის, აღრიცხვისა და გაცემის წესების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №228 დადგენილება „წვრილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 დეკემბრის №548 დადგენილება „ღორის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №764 დადგენილება „მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მისი სადგომის რეგისტრაციის წესის“ დამტკიცების შესახებ;

[†] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3192567

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილება „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N429 დადგენილება „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N430 დადგენილება „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

დარგის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები/სტანდარტები:

- HACCP-ის სისტემა
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს N854/2004 რეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005/36/EC რეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013/55/EU რეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2010/63/EUრეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 852/2004/EC რეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 853/2004/EC რეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 1099/2009/EU რეგულაცია

პროფესიული სტანდარტები:

- ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი
- ვეტერინარი ექიმის ასისტენტი
- ვეტერინარი ფარმაცევტის თანაშემწე
- ზოოტექნიკოსის ასისტენტი
- კინოლოგი

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატოტი (ISCED)

14. დანართები

სასწავლო გეგმა
დანართი 1 - ქართულენოვან და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის

ზოგადი მოდულები
დანართი 2 - უცხო ენა (ინგლისური)
დანართი 3 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია
დანართი 4 - მეწარმეობა 3
დანართი 5 - ინფორმაციული წიგნიერება 2
დანართი 6 - გარემოსდაცვითი საფუძვლები

პროფესიული მოდულები
დანართი 7 - გაცნობითი პრაქტიკა - ვეტერინარია
დანართი 8 - ქიმია
დანართი 9 - ბიოლოგია
დანართი 10 - ტოქსიკოლოგია
დანართი 11 – მიკრობიოლოგია 1
დანართი 12 - ჰისტოლოგია 1
დანართი 13 - პათოლოგია
დანართი 14 - ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები
დანართი 15 – ბიოქიმიის საფუძვლები
დანართი 16 - ცხოველთა დაავადებები
დანართი 17 - სურსათის უვნებლობა
დანართი 18 - ინფექციის კონტროლის საფუძვლები 1
დანართი 19 - ცხოველთა კვება
დანართი 20 - დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში
დანართი 21 - ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია
დანართი 22 - ცხოველთა მოვლა და კეთილდღეობაზე ზრუნვა
დანართი 23 - პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება
დანართი 24 - ცხოველთა იდენტიფიკაცია - რეგისტრაცია

კლინიკური სწავლების მოდულები
დანართი 25 - ცხოველთა მკურნალობა
დანართი 26 – ვეტერინარი ქირურგის ასისტირება
დანართი 27 – ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა
დანართი 28 – ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდავ ღონისძიებებში მონაწილეობა

დანართი 29 – ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი
დანართი 30 – ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა
დანართი 31 – ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია
დანართი 32 - შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა
არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის
დანართი 33 - ქართული ენა A2
დანართი 34 - ქართული ენა B1